ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3205839

ნომერი: AR1495228

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 12.04.2017

გაცნობის თარიღი : 12.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , I და III მ/რ-ებს შორის , (ნაკვეთი N1/28) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 აპრილს №AR1495228 განცხადებით მომართა დიმიტრი ვაჩნაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის

30 მარტის #3177416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, I და III მ/რ-ებს შორის, (ნაკვეთი #1/28), შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.10.06.001.028), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 მარტიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 2017 წლის 6 მარტის #AR1483504 განაცხადის დარეგისტრირებისას ატვირთულ პროექტის გეგმებზე არ იყო მითითებული ბინების ფართები და ასევე კომერციული ფართები და წარმოდგენილია პროექტის შესწორებული გეგმები.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, პროექტის გეგმების ჩანაცვლება, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 12 აპრილს №AR1495228 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მარტის #3177416 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.